კომპანია შემოსავალს პროდუქციის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

(ბ) საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან

საბანკო დეპოზიტებიდან გამომუშავებული საპროცენტო შემოსავლების გაანგარიშება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება საკასო მეთოდით საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის მიღების მომენტისათვის.

**საოპერაციო ხარჯები**

(ა) თანამშრომელთა სახელფასო და სხვა სარგებელი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის (დაზღვევა) დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება. კომპანიას არ აქვს შრომითი საქმიანობის შემდგომი ვალდებულებები.

(ბ) იჯარა - საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით, კონტრაქტით გათვალისწინებული იჯარის ვადის განმავლობაში

**მიღებული სესხები**

სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

**უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები**

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში ფასდება და აღირიცხება სამუშაო ვალუტაში გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ფასდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების თარიღის ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორისი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში. გაცვლითი კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

| | საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი | |
|---|---|---|
| | აშშ დოლარი | ევრო |
| გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 2.7020 | 2.8844 |
| გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 3.0976 | 3.5040 |

**მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის დარიცხვა/კრედიტი მოიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებებში. მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან მისაღებია მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღრიცხულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯში.

**მფლობელთა კაპიტალი**

მფლობელთა კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მეწილეების მიერ მის საკუთარ კაპიტალში შეტანილი თანხებისა და სხვა აქტივების შეტანის თარიღისთვის შეფასებულ რეალურ ღირებულებას.

**დივიდენდები**

დივიდენდები აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

### 3. ძირითადი საშუალებები

| | მიწა | შენობა ნაგებობები | დაუმთავრებელი მშენებლობა | ოფისის აღჭურვილობა | სატრანსპორტო საშუალებები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საწყისი ღირებულება** | | | | | | |
| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **20,492,105** | **17,309,366** | **1,054,153** | **-** | **-** | **38,855,624** |
| შეძენა | - | - | - | 3,017 | 172,345 | 175,362 |
| გასვლა | - | - | - | - | (3,424) | (3,424) |
| **2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **20,492,105** | **17,309,366** | **1,054,153** | **3,017** | **168,921** | **39,027,562** |
| შეძენა | - | - | - | 3,727 | - | 3,727 |
| გასვლა | (3,590,069) | - | - | - | - | (3,590,069) |
| **2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **16,902,036** | **17,309,366** | **1,054,153** | **6,744** | **168,921** | **35,441,220** |
| | | | | | | |
| **ცვეთა** | | | | | | |
| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| ცვეთა წლის მანძილზე | - | (346,187) | - | (503) | (9,384) | (356,074) |
| გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა | - | - | - | - | - | - |
| **2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **-** | **(346,187)** | **-** | **(503)** | **(9,384)** | **(356,074)** |
| ცვეთა წლის მანძილზე | - | (346,187) | - | (866) | (11,262) | (358,315) |
| გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა | - | - | - | - | - | - |
| **2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **-** | **(692,374)** | **-** | **(1,369)** | **(20,646)** | **(714,389)** |
| | | | | | | |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | | | | |
| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **20,492,105** | **17,309,366** | **1,054,153** | **-** | **-** | **38,855,624** |
| **2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **20,492,105** | **16,963,179** | **1,054,153** | **2,514** | **159,537** | **38,671,488** |
| **2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **16,902,036** | **16,616,992** | **1,054,153** | **5,375** | **148,275** | **34,726,831** |

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არ ირიცხება სრულად ამორტიზირებული აქტივი.

**4. გაცემული სესხი**

| | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|---|---|---|
| გაცემული სესხის ძირი | - | 400,000.00 |
| დარიცხული პროცენტი | - | 18,805.00 |
| **სულ გაცემული სესხები** | **-** | **418,805.00** |

2021 წლის 28 ივლისს კომპანიამ გასცა მოკლევადიანი სესხი სს „ქართუ ჯგუფზე“. სესხის დაფარვის ვადა იყო 2021 წლის 31 ოქტომბერი, მაგრამ 1 ნოემბერს გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება კომპანიებს შორის, სადაც შეიცვალა სესხის ვადიანობა და დაფარვის ვადად დადგინდა 2022 წლის 30 სექტემბერი.

სესხის ძირი შეადგენს 400,000 ლარს ხოლო საპროცენტო სარგებელი 11%-ს. სესხის ძირის და დარიცხული პროცენტის სრულად დაფარვა მოხდება სესხის ვადის ბოლოს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხი სრულად არის დაფარული. 2022წელს საპროცენტო შემოსავალმა 29,035 ლარი შეადგინა

**5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

| | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|---|---|---|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 597,709 | 399,604 |
| გაცემული ავანსები | 162,959 | - |
| საეჭვო ვალების რეზერვი | (206,377) | (63,241) |
| **სულ დებიტორული მოთხოვნები** | **554,290** | **336,363** |

კომპანიის დებიტორული მოთხოვნების ნაწილი გაუფასურებულია. რეზერვის შემადგენლობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

| რეზერვირების ჯგუფი | რეზერვის განაკვეთი | დებიტორული მოთხოვნები | რეზერვირებული თანხა |
|---|---|---|---|
| 0 -30 დღე | 2% | 99,718 | 1,994 |
| 31 - 90 დღე | 5% | 126,174 | 6,309 |
| 91 - 180 დღე | 25% | 179,496 | 44,874 |
| 181 - 360 დღე | 50% | 78,241 | 39,121 |
| 361 დღეზე მეტი | 100% | 114,080 | 114,080 |
| **სულ** | | **597,709** | **206,377** |

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეზევები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

| რეზერვირების ჯგუფი | რეზერვის განაკვეთი | დებიტორული მოთხოვნები | რეზერვირებული თანხა |
|---|---|---|---|
| 0 -30 დღე | 2% | 117,245 | 2,344 |
| 31 - 90 დღე | 5% | 149,838 | 7,492 |
| 91 - 180 დღე | 25% | 51,423 | 12,856 |
| 181 - 360 დღე | 50% | 81,098 | 40,549 |
| 361 დღეზე მეტი | 100% | - | - |
| **სულ** | | **399,604** | **63,241** |

ქვემოთ მოყვანილია დებიტორული დავალიანების ანარიცხების მოძრაობა:

| | დებიტორული დავალიანების ანარიცხი |
|---|---|
| **31 დეკემბერი 2020** | **-** |
| დარიცხვა წლის განმავლობაში | (63,241) |
| **31 დეკემბერი 2021** | **(63,241)** |
| დარიცხვა წლის განმავლობაში | (143,136) |
| **31 დეკემბერი 2022** | **(206,377)** |

## 6. ფული და ფულის ექვივალენტები

| | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|---|---|---|
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 2,499,919 | 208,161 |
| **სულ ფული და ექვივალენტები** | **2,499,919** | **208,161** |

კომპანიას აქვს საბანკო ანგარიშები სს „ქართუ ბანკში“. კომპანიას არ აქვს ოპერაციება ნაღდი ანგარიშსწორებით და შესაბამისად არ აქვს სალაროს ნაშთი. ასევე კომპანიას არ გააჩნია სავალუტო ოპერაციები.

## 7. კაპიტალი

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "ქართუ".

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა კაპიტალი შეადგენდა 38,855,624 ლარს. კომპანიის დამფუძნებლის მიერ კაპიტალში პირველადი შეტანა განხორციელდა 2020 წლის 28 დეკემბერს კაპიტალში შეტანილ იქნა ძირითადი საშუალებები, რომელთა ღირებულება განისაზღვრა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ კაპიტალში შეტანის თარიღში.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ გამოუცხადებია ან გაუნაწილებია დივიდენდი.

## 8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|---|---|---|
| ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან | 97,656 | 245,901 |
| **სულ კრედიტორული ვალდებულებები** | **97,656** | **245,901** |

## 9. შემოსავლები

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| იჯარა | 2,460,288 | 2,463,225 |
| კომუნალური გადასახადები | 294,485 | 240,662 |
| შემოსავალი საკომუნიკაციო მოწყობილობის განთავსებიდან | 196,373 | 186,331 |
| საკონსულტაციო მომსახურება | 11,864 | 10,170 |
| სხვა მომსახურებები | 2,034 | 2,034 |
| **სულ შემოსავალი** | **2,965,044** | **2,902,422** |

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს საიჯარო შემოსავლები წარმოადგენს. რაც შეეხება კომუნალურ გადასახადებს იგი ფაქტიურად ახორციელებს გადასახადების ამკრეფის ფუნქციებს, კომპანია უწერს მოიჯარეებს იმ კომუნალურ გადასახადს რომელსაც თვითონ უხდის მომსახურე კომუნალურ კომპანიებს.

## 10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

| **საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები** | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 883,160 | 1,087,579 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 358,315 | 356,075 |
| კომუნალური ხარჯები | 762,465 | 456,783 |
| კომუნიკაციის ხარჯები | 228,973 | 237,848 |
| რემონტი | 471,588 | 63,378 |
| საოფისე ინვენტარი | 51,190 | 47,469 |
| სოციალური დანარიცხები | 15,907 | 20,558 |
| დაზღვევა | 8,115 | 7,833 |
| საიჯარო ქირა | 1,441 | 6,102 |
| კომპიუტერის ხარჯები | 5,840 | 5,053 |
| საკონსულტაციო ხარჯები | - | 5,000 |
| სხვა საერთო ხარჯი | 43,941 | 69,727 |
| **სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები** | **2,830,935** | **2,363,405** |

## 11. არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

| **არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)** | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| საშემოსავლო გადასახადის შეღავათი COVID 19 | - | 37,238 |
| შემოსავალი ძირითადი შაშუალების რეალიზაციიდან | 2,005,990 | 3,424 |
| **სულ არასაოპერაციო შემოსავლები** | ***2,005,990*** | ***40,662*** |
| ქონების გადასახადი | (187,142) | (102,517) |
| სხვა გადასახადი | - | (3,423) |
| რეალიზაბული ძირითადი საშუალებები | (3,590,069) | (5,596) |
| **სულ არასაოპერაციო არასაოპერაციო ხარჯები** | **(3,777,211)** | **(111,536)** |
| **სულ არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)** | **(1,771,221)** | **(70,874)** |

2022 წელს კომპანიამ მოახდინა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის რელიზაცია და არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების უდიდეს ნაწილს სწორედ ამ ოპერაციის გატარება წარმოადგენს.

## 12. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები კორპორაციული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ, (ცნობილი, როგორც კორპორაციული საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვითაც, დაბეგვრის მომენტი არის შემოსავლის მიღებიდან მის განაწილებამდე. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის. შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

### 13. პირობითი ვალდებულებები

**საოპერაციო იჯარის ვალდებულებები.** 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის საიჯარო ვალდებულებები.

### 14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები წარმოადგენენ დაკავშირებულს, თუ ისინი არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ, ან რომელიმე მხარე აკონტროლებს სხვა მხარეს, ან შეუძლია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი სხვა მხარეების ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება მიმართულია ურთიერთობის არსზე და არა უბრალოდ სამართლებრივ ფორმაზე.

2021 წლის 28 ივლისს გასცა სესხი დაკავშირებულ მხარეზე, სს „ქართუ ჯგუფზე“, რომლის მენეჯმენტი იგივეა რაც შპს „ქართუ ჯგუფის“. 2022 წელს სესხი სრულად დაიფარა.

| | **31 დეკემბერი 2022** | **31 დეკემბერი 2021** |
|---|---|---|
| გაცემული სესხის ძირი | - | 400,000 |
| **სულ გაცემული სესხი** | **-** | **400,000** |

| **მოთხოვნები და ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან** | **31 დეკემბერი 2022** | **31 დეკემბერი 2021** |
|---|---|---|
| დებიტორული მოთხოვნები | 220,643 | 103,056 |
| დარიცხული საპროცენტო სარგებელი | - | 18,805 |
| კრედიტორული ვალდებულებები | - | 172,345 |

| **ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან** | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| საოპერაციო შემოსავალი | 148,490 | 151,650 |
| ფინანსური შემოსავალი | 29,035 | 18,805 |
| ხარჯები | 1,441 | 152,156 |

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| ხელფასები და ბონუსები | 67,033 | 44,616 |

2022 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული სხვა ტრანზაქციები და საბალანსო ნაშთები არ არის არსებითი.

### 15. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის შიგნით რისკების მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსური, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მიმართ. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფასის რისკებს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის უპირველესი მიზნებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების ზემოქმედების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენის უზრუნველყოფა. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების

სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფას საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმიზაციის მიზნით.

**საკრედიტო რისკი.** კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთმა მხარემ მეორე მხარისთვის ფინანსური ზარალი გამოიწვიოს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის ზემოქმედება წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვისა და კონტრაგენტებთან ფინანსური აქტივების წარმოშობის სხვა ოპერაციების შედეგად.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება აქტივების კლასის მიხედვით აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ბალანსზე.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე აქტივების კლასის მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

| | **31 დეკემბერი 2022** | **31 დეკემბერი 2021** |
|---|---:|---:|
| ფული და ეკვივალენტები | 2,499,919 | 208,161 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 554,290 | 336,363 |
| გაცემული სესხები | - | 418,805 |
| **სულ საბალანსო ანგარიშები** | **3,054,209** | **963,329** |

კომპანია აყალიბებს საკრედიტო რისკის დონეს, რომელსაც ის ახორციელებს კონტრაგენტებთან მიმართებაში მიღებული რისკის ოდენობის ლიმიტების დაწესებით. საკრედიტო რისკის დონის ლიმიტები რეგულარულად მტკიცდება მენეჯმენტის მიერ. ასეთი რისკები მონიტორინგს ახდენენ მბრუნავ საფუძველზე და ექვემდებარება წლიურ ან უფრო ხშირად განხილვას. კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების დაძველების ანალიზს და აკვირდება ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

***ლიკვიდურობის რისკი.*** ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც სუბიექტი განიცდის სირთულეებს ფინანსური ვალდებულებების დაფარვის დროს. კომპანია ყოველდღიურად იღებს ინფორმაციას ფულად ნაკადებთან დაკავშირებით. ლიკვიდურობის რისკის მართვას ახორციელებს კომპანიის ხელმძღვანელობა. მენეჯმენტი მონიტორინგს უწევს კომპანიის ყოველთვიური მოძრავი ფულადი ნაკადების პროგნოზირებას.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | **1 თვეზე ნაკლები ვადით** | **1- დან 3 თვემდე** | **3-დან 12 თვემდე** | **1-დან 5 წლამდე** | **სულ** |
|---|---:|---:|---:|---:|---:|
| ფული და ფულის ექვივალენტები | 2,499,919 | - | - | - | 2,499,919 |
| სავაჭრო მოთხოვნები | - | 554,290 | - | - | 554,290 |
| გაცემული სესხები | - | - | - | - | - |
| **ფინანსური აქტივები** | **2,499,919** | **554,290** | **-** | **-** | **3,054,209** |
| | | | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | - | 97,656 | - | - | 97,656 |
| საგადასახადო ვალდებულება | 179,894 | - | | | 179,894 |
| **ფინანსური ვალდებულებები** | 179,894 | 97,656 | - | - | 277,550 |
| **ლიკვიდურობის პოზიცია** | **2,320,025** | **456,634** | **-** | **-** | **2,776,659** |
| **კუმულატიური ლიკვიდურობის პოზიცია** | **2,320,025** | **2,776,659** | **2,776,659** | **2,776,659** | |

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | **1 თვეზე ნაკლები ვადით** | **1- დან 3 თვემდე** | **3-დან 12 თვემდე** | **1-დან 5 წლამდე** | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები | 208,161 | - | - | - | 208,161 |
| სავაჭრო მოთხოვნები | - | 336,363 | - | - | 336,363 |
| გაცემული სესხები | - | - | 418,805 | - | 418,805 |
| **ფინანსური აქტივები** | **208,161** | **336,363** | **418,805** | **-** | **963,329** |
| | | | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | - | 245,901 | - | - | 245,901 |
| საგადასახადო ვალდებულება | 109,585 | - | | | 109,585 |
| **ფინანსური ვალდებულებები** | 109,585 | 245,901 | - | - | 355,486 |
| **ლიკვიდურობის პოზიცია** | **98,576** | **90,462** | **418,805** | **-** | **607,843** |
| **კუმულატიური ლიკვიდურობის პოზიცია** | **98,576** | **189,038** | **607,843** | **607,843** | |

*კაპიტალის ინსტრუმენტის რისკი.* კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის ინსტრუმენტის რისკი.

## 16. სამართლიანი ღირებულება

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ასახავს მათ სამართლიან ღირებულებას.

მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მიახლოებითია მათი საბალანსო ღირებულებით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები დეტალურად აღწერს კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებიც შეფასებულია ან გამოქვეყნებულია სამართლიანი ღირებულებით, სამ დონის იერარქიის გამოყენებით, რომელიც დაფუძნებულია შეტანის ყველაზე დაბალ დონეზე, რომელიც მნიშვნელოვანია მთელი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის, რაც:

დონე 1: კოტირებული ფასები (დაუსწორებელი) აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შესახებ, რომლებზეც ერთეულს შეუძლია წვდომა შეფასების თარიღისთვის

დონე 2: შეტანილი მონაცემები, გარდა კოტირებული ფასებისა, რომელიც შედის 1 დონეზე, რომელიც დაკვირვებადია აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ ან ირიბად

დონე 3: აქტივის ან ვალდებულების დაუკვირვებადი მონაცემები

| **2022 წელი** | **დონე 1** | **დონე 2** | **დონე 3** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| აქტივები | | | | |
| ფული და ექვივალენტები | 2,499,919 | - | - | 2,499,919 |
| გაცემული სესხები | | - | - | - |
| დებიტორული მოთხოვნები | | - | 554,290 | 554,290 |
| **სულ აქტივები** | **2,499,919** | **-** | **554,290** | **3,054,209** |
| ვალდებულებები | | | | |
| კრედიტორული ვალდებულებები | - | - | 97,656 | 245,901 |
| საგადასახადო ვალდებულება | - | - | 179,894 | 38,826 |
| **სულ ვალდებულებები** | **-** | **-** | **277,550** | **277,550** |

| **2021 წელი** | **დონე 1** | **დონე 2** | **დონე 3** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| აქტივები | | | | |
| ფული და ექვივალენტები | 208,161 | - | - | 208,161 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გაცემული სესხები | | - | 418,805 | 418,805 |
| დებიტორული მოთხოვნები | | - | 336,363 | 336,363 |
| **სულ აქტივები** | **208,161** | **-** | **755,168** | **963,329** |
| ვალდებულებები | | | | |
| კრედიტორული ვალდებულებები | - | - | 245,901 | 245,901 |
| საგადასახადო ვალდებულება | - | - | 109,585 | 38,826 |
| **სულ ვალდებულებები** | **-** | **-** | **355,486** | **355,486** |

### 17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 28 სექტემბერს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

RSM

**RSM Georgia**
85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia
T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99
www.rsm.ge

**დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე**
**შპს ქართუ ჯგუფის მფლობელებს და ხელმძღვანელობას**

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობითი ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად. (შემდგომში-„საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობითი ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობითი ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობითი და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვითრაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობითი ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებისა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველო“
მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე
28 სექტემბერი 2023

RSM Georgia

შპს "არ ეს ემ საქართველო" RSM GEORGIA 202449207

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

Ltd. RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

Lead sponsors
European Business Awards™

## მმართველობითი ანგარიშგება

## საქმიანობის მიმოხილვა

### ინფორმაცია კომანიის შესახებ

შპს „ქართუ ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში 28 დეკემბერს 2020 წელს მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 405429790. კომპანიის სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება (შპს). მისი იურიდიული მისამართია: 0162, საქართველო, ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #39დ.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის საგანია მის საკუთრებაში არსებული კომერციული ფართების გაქირავება. ასევე კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ფინანსური ოპერაციიდან - სესხების გაცემით მიღებული პროცენტის სარგებელი.

კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, საზოგადოებას ჰყავს გენერალური დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორი. საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება აქვს აღმასრულებელ დირექტორს. გენერალური დირექტორი არ არის აღჭურვილი წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით. იგი ახორციელებს საზოგადოების მმართველი ორგანოების საკონსულტაციო მხარდაჭერას: გასცემს რეკომენდაციებს და რჩევებს საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ’’ რომელიც ფლობს კომპანიის 100%-იან წილს. ფონდი „ქართუ“ თავისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. ფონდი „ქართუ“-ს წესდების მიხედვით მისი ძირითადი მიზანია, კანონით დადგენილი წესით ხელი შეუწყოს და დაეხმაროს ქვეყანაში კულტურის, განათლების, მეცნიერების და რეგიონალურ განვითარებას. განახორციელოს ისეთი საქველმოქმედო და ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის მდგრად განვითარებას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 38 855 624 ლარი.

### განვითარების გეგმები

სამომავლო განვითრების გეგმებს ადგენს კომპანიის ადმინისტრაცია. კომპანიის სამომავლო გეგმას წარმოადგენს არსებული საწარმო სიმძლავრეების შენარჩუნება-განვითარება და მათი გამოყენებით მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა.

## წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანია სისტემატურად ახორციელებს კვლევას ბაზარზე სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისთვის მოწვეული სპეციალისტების დაქირავებას, რომლებიც ეხმარებიან ადმინისტრაციას ბიზნეს გეგმების შედგენაში და მოსახურების გაუმჯობესებაში. კომპანია მართვისათვის ყოველწლიურად გაიანგარიშებს და აანალიზებს ცალკეულ რისკებს.

## კომპანიაში არსებული რისკების მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეკონომიკურ გარემოში განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა

უარყოფითმა მაკროეკონომიკურმა მოვლენებმა შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს კომპანიის მუშაობის შედეგები, რაც განპირობებული იქნება სხვადასხვა პარამეტრებით, როგორიცაა გაცვლითი კურსის გაუფასურება, საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, უმუშევრობის დონის ზრდა, საყოფაცხოვრებო შემოსავლის შემცირება, ქონების ღირებულებების შემცირება, სესხების უზრუნველყოფის დონის ან კომპანიების გადახდისუნარიანობის გაუარესება გაყიდვების შემცირების გამო. მეზობელ და ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში პოტენციურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა ასევე უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მაგ: შემცირდეს ექსპორტი, ტურისტების შემოდინება, ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

კომპანია საქმიანობის განხორციელების პროცესში ექვემდებარება სხვადასხვა სახის რისკებს. ფული და ფულის ექვივალენტიები, გაცემული სესხები სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ეს ის ფინანსური ინსტრუმენტებია, რომლის გამოყენების დროსაც წარმოიქმნება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი
- საფასო რისკი
- საოპერაციო რისკი

ჯგუფის მიზანია ისეთი ბიზნეს-პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე უარყოფითი ზეგავლენის გარეშე.

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ერთი მხარე ფინანსურ ზარალს მიაყენებს  მეორე მხარეს. ჯგუფის საკრედიტო რისკის მაჩვენებლები:

| | **31.12.2022** |
|---|---|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 554 290 |
| გაცემული სესხები | - |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 2 499 919 |
| **ჯამი** | **3 054 209** |

საკრედიტო კონტროლისა და მასთან დაკავშირებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად შეიძლება ითქვას,  რომ კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის მნიშვნელოვან დანაკარგებს მეორე მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობასთნ დაკავშირებით.

### ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ გააჩნია მნიშვნელოვანი ვალდებულებები. ამასთან მისი აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება ვალდებულებებს. შესაბამისად საანგარიშო პერიოდში კომპანიის საქმიანობა ლიკვიდურობის რისკის მატარებელი არ არის. კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართვას მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით. კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მაჩვენებლებია:

| **ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1 წელზე ნაკლები** | **1-3 წლამდე** | **3-5 წლამდე** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 2 499 919 | - | - | 2 499 919 |
| გაცემული სესხები | - | - | - | - |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დებიტორული დავალიანება | 554 290 | - | - | 554 290 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **3 054 209** | **-** | **-** | **3 054 209** |
| ფინანსური ვალდებულებები | 179 894 | | | 179 894 |
| კრედიტორული დავალიანება | 97 656 | - | - | 97 656 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **277 550** | **-** | **-** | **277 550** |
| **ლიკვიდურობა** | **2 776 659** | **-** | **-** | **2 776 659** |

| **ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1 წელზე ნაკლები** | **1-3 წლამდე** | **3-5 წლამდე** | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 208 161 | - | - | 208 161 |
| გაცემული სესხები | 418 805 | - | - | 418 805 |
| დებიტორული დავალიანება | 336 363 | - | - | 336 363 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **963 329** | **-** | **-** | **963 329** |
| ფინანსური ვალდებულებები | 109 585 | | | 109 585 |
| კრედიტორული დავალიანება | 245 901 | - | - | 245 901 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **355 486** | **-** | **-** | **355 486** |
| **ლიკვიდურობა** | **607 843** | **-** | **-** | **607 843** |

## საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო. კერძოდ, ბაზარზე არსებული მსგავსი მომსახურების პროდუქტზე ფასების ცვლილების გამო. ასევე საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

მოცემული საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობა კავშირშია ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან.

**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიქმნება როდესაც იცვლება ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი ოპერაციები უცხოურ ვალუტაში. ამასთან, უცხოურ ვალუთაში არსებული უმნიშვნელო გრძელვადიანი აქტივები და ვალდებულებები არ არის მნიშვნელოვანი კომპანიის ფინანსური რისკების დადგენაში და კურსის მერყეობა მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

**საფასო რისკი**

კომპანია საფასო რისკს მართავს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზსრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ.

**საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არ არსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები და ფინანსური ზარალი. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

თარიღი: 29/09/2023

დირექტორი: გოჩა ჩიკვილაძე

ვალუტაში. ამასთან, უცხოურ ვალუთაში არსებული უმნიშვნელო გრძელვადიანი აქტივები და ვალდებულებები არ არის მნიშვნელოვანი კომპანიის ფინანსური რისკების დადგენაში და კურსის მერყეობა მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

## საფასო რისკი

კომპანია საფასო რისკს მართავს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზსრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ.

## საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არ არსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები და ფინანსური ზარალი. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

თარიღი: 28/09/2023

დირექტორი: გოჩა ჩიკვილაძე